


სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 5 იანვარი, 28 1896 წ. № 5

**შინაარსი:** † ყოვლად უსამღვდელოესი იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი.—ცხოვრება და მწერლობა გაგრძელება ფხა-სი.—სხვა-და-სხვა ამბები.—საყურადღებო ამბები.— —კვირიდან კვირამდე, გრ—ოლი—ძისა.—ხალხური ლექსი.—*** ლექსი კნ. ნინო ჯამ-ორბელიანისა.—ის კი მიდიოდა, ან. დეკანოზიშვილისა.—საღვთო ნილოსი.—თავ. სვიმონ წერეთლის სიტყვა.—სოფელი და სასოფლო შკოლა (დასასრული), საზღვარ-გარეთელისა.—ბიბლიოგრაფია პ—რე ს—ძისა.—და ქუთაისის ბანკის განცხადებები.—



† ყოვლად უსამღვდელოესი იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი.

## † ყოვლად უსამღვდელოესი იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი.

ქუთაისიდან გამოგზავნილი დეპეშა გვაუწყებს, რომ 25 იანვარს, ნაშუადღევს გარდაიცვალა ნეტარ—ხსენებული იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი ფილტვების ანთებით. ყველა ქართველთათვის, ვისაც კი ნაპერწკალი არ გაჰქრობია გულში, მეტათ საგრძნობელი და სამწუხაროა ამ ღვთიური ადამიანის დაკარგვა. მართალია ამ ბოლოს დროს განსვესებული მძიმე ავათმყოფი შეიქნა და მოუძლურდა, მაგრამ იმედს არ ვკარგავდით, რომ ჩვენი საყვარელი მწყემსმთავარი ისევ მოგვიბრუნდებოდა, რადგან წლოვანობით (დაიბადა 1825 წ.) ისეთი მოხუცი არ იყო. სხვა ქვეყნებში 70 წლის კაცი მთელ სახელმწიფოების საქმეებს ატრიალებს, ჩვენ კი ამითაც უბედური ვყოფილვართ. 8 ენკენისთვეს განსვენებული ეპისკოპოსის მოღვაწეობის 35 წლიწადი შესრულდა, მაგრამ აქაც ბედმა გვიმტყუნა დ ვერ გამოვუცხადეთ ამ ყოვლად პატიოსან მოღვაწეს ჩვენი გულის ნადები. ჩვენი საყვარელი ეპისკოპოსის მოღვაწეობა არა ერთხელ ყოფილა ჩვენ მიერ აღნიშნული და ღირსეულათ დაფასებული და შემდეგშიაც ჩამომავლობის საგულისხმოთ დავუბრუნდებით ამ ღირსეული მოხუცის ცხოვრების აღწერას.

ახლა, უკანასკნელათ, ვეამბოროთ მის კურთხეულ ხელს და ვთხოვოთ არ მოგვაკლოს იმ ქვეყნიური ლოცვა-კურთხევა მისი საჰწყსოს ასაღორძინებლათ.

# ცხოვრება და მწერლობა.

(გაგრძელება *)

ცხოვრების ახალმა ვითარებამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეძინა ქალაქს, მას სრულებით ახალი ელფერი მისცა. წინეთ ბატონის ისეთივე მონა და მორჩილი იყო ქალაქი, როგორათაც ყმა. მოქალაქეს და მწარმოებელს როდი ჰქონდა ნება თავისუფალი და დამოუკიდებელი მოქმედებისა და მოღვაწეობისა. მას ვერ გაეტაცებდა აგრეთვე სურვილი სიმდიდრის შეძენისა, ფულის მოხვეჭისა, რადგან ამ სიმდიდრეზე ისევ ბატონს ედო თვისი მძლავრი ხელი. ახლა კი სულ სხვანაირათ დატრიალდა ქალაქის ბედი. მას სახელმწიფომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია, სულ სხვა მნიშვნელობა მიანიჭა: დაუარსა თავისუფალი დაწესებულებანი, ზურგი გაუმაგრა მით, რომ მისცა მტკიცე სამართალი, რომელიც თვითონ მას ჰხდიდა თავის ქონებისა და ავლა-დიდების ბატონათ და სხვას, გარეშეს თარეშობის ნებას აღარ აძლევდა. მრეწველთ და წარმოების მიმდევართ სახელმწიფომ სხვა-და-სხვა დახმარება აღმოუჩინა. მიმოსვლა და საქონლის გადატან-გადმოტანა გაუადვილა—ვზებიც გაუმართა. ამას გარდა, თუ წინეთ უპირატესი მნიშვნელობა გვარეულობას და შთამოებას ჰქონდა, რომ წარჩინებულება და დამსახურება მიეღო, დღეს სახელმწიფომ პირ-ახდილათ, საქვეყნოთ გამოაცხადა, რომ ეს მოსაზრება და საბუთი აღარ მიიღება მხედველობაში: დღეის იქით განათლებული, მცოდნე და შრომის მოყვარეა საჭირო და წარჩინებულიც ის იქნებაო. ამიტომ ქალაქებში სხვა-და-სხვა გვარის შკოლები გაიხსნა. ამით მოქალაქეს გაუადვილდა სწავლის შეძენა, გონება უფრო განივითარა და ცხოვრებაში უფრო ღრმათ ჩაიხედა. ამ გარემოებამ კი უფრო გაუადვილა, რომ თავისი ცხოვრება უმჯობესათ მოეწყო და ბრძოლის ველზე გამარჯვებული დარჩენილიყო.

აი, ასეთმა ვითარებამ და ცხოვრების მიმდინარეობამ მოქალაქეს ხელი გაუხსნა მოქმედებისა, მადა და წადილი, წინეთ შიშის გამო ვიწროთ შემოფარგლული, გაუღვიძა, გაუძლიერა. რაღა დაუშლიდა, რომ ეს მადა უზენაეს წერტილამდე მიეყვანა?!. ფულს და სიმდიდრეს, რამდენიც არ უნდა შეეძინა, ვერავინ შეეხებოდა, ვერავინ შეეცილებოდა და ვერც ვინმე წაართმევდა. ამნაირათ, მწარმოებელს და ალებმიმცემს სურვილი შეუსრულდა, დიდი ხნის ოცნებანი განუხორციელდა. მეტი რაღა უნდოდა? სარბიელი მის თვალ-წინ ფართოთ იყო გადაშლილი და ლელოს იგივე გაიტანდა.

ასე პირის-პირ დააყენა სოფელი და ქალაქი ახალმა ვითარებამ. ერთი სუსტი, მფარველობას მოკლებული და მოუძლურებული იყო გადამეტი ჯაფისა და ტანჯვისაგან, უმეცრებისა და ცუდაობისაგან. მეორე კი გამაგრებული იყო ძლიერი მფარველობით და დახმარებით და გატაცებული იყო ახალი იმედით. ცხადი იყო, რომ უკანასკნელს პირველი ვერ გაუძლებდა, მას უწყალოთ ჩანთქავდა. ცხადი იყო, რომ სახელმწიფო და საერო მაჯის ცემა დღეის იქით სოფელში კი არა, ქალაქებში გადვიდა. დღესავით ნათელი და ყველასათვის მისახვედრი იყო, რომ აქ, ამ ქალაქებში უნდა დამკვიდრებულიყო, გამაგრებულიყო და გაძლიერებულიყო ქართველობაც, თუ უნდოდა, რომ მისი მომავალი, მისი საეროვნო საქმე მტკიცე ნიადაგზე ყოფილიყო დამყარებული. როგორც სხვაგან, ჩვენი ცხოვრებაც ისე იყო მოწყობილი, რომ უპირატესი მნიშვნელობა და ყურადღება სოფელზე იყო მიქცეული. ვისაც იყო სოფელი, იგივე იყო მაშინ გამგებელი და ბატონიც მთელი ერისა. ამიტომ ჩვენი ცხოვრებაც შეხამებული და შეფერებული იყო დროსა და გარემოებას. ქალაქი მაშინ მეტი ბარგი იყო და არც რამე მნიშვნელობა ჰქონდა ერის ცხოვრებაში. ამიტომ აქ სულ სხვა ტომის ხალხი იყო ჩამოსახლებული. ახლა კი გარემოება იცვალა. ერთი ადგილიდან მეორეში გადავიდა, გადინაცვლა უფლებამ და ღირსებამ. დღეის იქით კანონათ შეიქნა, უტყუარ ფაქტათ გარდიქცა, რომ ვისაც ქალაქი ეკუთვნის, ვინც ქალაქის ბატონი და პატრონია, მისივეა სოფელი. სოფელს ჩამოერთვა უპირატესობა და იგი ქალაქის მორჩილი შეიქნა. ჩვენში კი ეს ახალი ბატონი და პატრონი უცხოელი, გადამთიელი იყო. ამიტომ ეს ახალი ვითარება ჩვენ განსაცდელს გვიქადოდა, ქალაქის მიერ სოფლის დამონავება და დამორჩილება ჩვენთვის სიკვდილს მოასწავებდა. ამიტომ ჩვენი ცოდნა და გამოცდილება, ცდა და გონება იმას უნდა მოხმარებოდა, რომ ქალაქი ხელთ ჩაგვეგდო და სოფელი უცხოელის კი არა, ისევ ჩვენი მორჩილი და მოხარკე უნდა ყოფილიყო. აქ კი, ამ „მშობიარების ტკივილების“ თავიდან ასაცილებლათ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა დამხმარებელი და გზის მაჩვენებელი.

ასეთ დამხმარეთ კი ჩვენი მწერლობა უნდა შექმნილიყო. აქ იყო დიდი დანიშნულება და უპირველესი მნიშვნელობა მწერლობისა. მას ერისათვის,

*) იხ. „კვალი“ № 4.

საზოგადოებისათვის თვალი უნდა აეხილა, ახალი ვითარებისათვის საჭირო და ჯეროვანი ყურადღება მიექცია და მიეთითებია ისეთ საშუალებაზე, რომ სოფლელი მოქალაქეთ გარდაქმნილიყო, ქალაქში დამკვიდრებულიყო და ცხოვრების ახალ ზეირთებს ატივტივებოდა, თავში მოქცეოდა. მაგრამ ჩვენმა მწერლობამ ეს დიდებული მოწოდება და დანიშნულება ვერ გამოიყენა, ვერაფრათ მოიხმარა, მან, სხვის სიტყვებისა და აზრის განმეორებას დაჩვეულმა, ისევ ბანი მისცა სხვას. მაგრამ ამ ჟამათ ეს ბანი წინ კი არ ეწეოდა საზოგიდრებას, მტკიცე ნიადაგზე კი არ აყენებდა ჩვენს ეროვნულ საქმეს, არამედ აქვეითებდა ერს, აბრკოლებდა ჩვენს საქმეს... და განსაცდელს დასასრული არ ეძლეოდა.

ფხა.

(შემდეგი იქნება)

## სხვა-და-სხვა ამბები

Საქართველობა, როგორც ჩანს, დიდი ყურადღებით და თანაგრძნობით მოეკიდა იმ საქმეს, რომ წყალ-დიდობისაგან დაზარალებულთ რაიმე შემწეობა და დახმარება აღმოუჩინოს. საქართველოს სხვა-და-სხვა ადგილებსა და ქალაქებში თუ წარმოდგენებითა, თუ საღამოებითა და თუ კერძო შემოწირულებით იკრიბება ფული წყალ-დიდობისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ დღემდე არ შემდგარა ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც უნდა ეგზავნებოდეს ეს შემოწირულებანი და რომელიც თითონ უნდა აწვედიდეს იმათ, ვინც ამ დახმარებას საჭიროებს. საჭიროა და ფრიად აუცილებელიც, რომ ასეთი კომიტეტი მალე შედგეს სინდისიერ და ხალხის გულ-შემატკივართაგან. მაშინ შემომწირველნი დარწმუნებულნი და მოიმედენი იქნებიან, რომ მათი დახმარება ნამდვილათ ხალხს მოხმარდება. ეს კომიტეტი მით უფრო საჭიროა, რომ მას შეეძლება პირდაპირ ფულით კი არ დაეხმაროს, არამედ იმითი, რაც ჰირდება დაზარალებულს.

***

იმერეთში დიდი თოვლი მოსულა, რომელსაც კვლავ გაუნადგურებია რკინის გზის ლიანდაგი. ამიტომ მიმოსვლა წესიერათ არ წარმოებს: მატარებელი ძლიერ იგვიანებს. დიდი თოვლისა და ზვავების გამო კავკავის გზაზეც შეჩერებულია მიმოსვლა.

***

კავკასიის სამოსწავლო მთავრობა შუამდგომლობს, რომ გორის სამასწავლებლო სემინარიას მიეცეს 625 მან., ქუთაისისას—1200 მან., რათა ამ ფულებით მიწვეულ იქმნენ ზემოხსენებულ სასწავლებლებში სამეურნეო განათლების მქონე პირნი.

***

სომეხთა ეპარქიის საეკლესიო რვა შკოლა, უმაღლესი მთავრობის განკარგულებით, უნდა გადაეცეს სახალხო სასწავლებლების დირექტორს. ამ განკარგულების ძალით 23-ს ამ თვეს რამდენიმე შკოლა კიდეც დაიკეტა, რადგან საეპარქიო ინსპექტორმა და შკოლების სხვა უფროსებმა განაცხადეს, რომ სანამ ეჩმიაძინიდან განკარგულება არ მოგვივა, მანამდის შკოლების გადაცემის ნება არა გვაქვსო.

***

შიო მღვიმელის დღეობას, რომელიც არის ხუთშაბათს, თებერვლის პირველს, შიო მღვიმელის მონასტერში წირვას შეასრულებს თვითონ წინამძღვარი ამ მონასტრისა მისი ყოვლად უსამღვდელოესობა ეპისკოპოსი ალექსანდრე.

***

ბელგიის საგეოგრაფიო საზოგადოებას შეუკრებია 250,000 ფრანკი, რათა გაგზავნოს ექსპედიცია ჟერლახის თაოსნობით სამხრეთ პოლიუსის გამოსაკვლევათ და შესასწავლათ.

***

წარსული დეკემბრის საშკოლო კრებაში ამორჩეული იყო შვიდი პირი, რომელთაც უნდა შეიმუშაონ სამეურნეო შკოლის პროექტი და უჩვენონ საზოგადოებას წყარო ამ შკოლის დასაარსებლათ. ეს კომისია თავის მოვალეობის ასრულებას აქვავე შედგომია და გადუწყვეტია ყოველ ხუთშაბათობით შეიკრიბოს და საჭირო მასალა გამოიკვლიოს. თავმჯდომარეთ კომისიას თავ. ივ. ზ. ანდრონიკაშვილი ამოურჩევია, ხოლო მის მდივნათ—გ. დეკანოზიშვილი. ამასთანავე საზოგადოების გამგე კომიტეტს წერილით შეუტყობინებია კნ. მ. ვ. ორბელიანისათვის, რომ მან თავის მხრით მოიწვიოს მცოდნე პირნი საქალებო შკოლის პროექტის შესამუშავებლათ.

## საყურადღებო ამბები.

ნ. კაჭრეთი (სიღნაღის მაზრა). ამ სოფლიდან ერთი ვერსის მანძილზე გზატკეცილს ქვემოთ არის რამოდენიმე ნაწილათ დაყოფილი სათავადო მამულები. მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ, მეტათ ცუდი ზე-გავლენა აქვს ჩვენი კაჭრეთის საზოგადოების საწყალ და ბეჩავ გლეხ-კაცობაზე ამ მამულებში მოსულ უცხო სოფლელ მოიჯარადრეებს და ყარაულებს. მოიჯარადრეებათ მოდიან ამ მამულებში იორ-მუღალონოელი თათრები, თანაც ამ ბატონებს მწყემსებათ მოჰყავთ თათრებივე. თვით მემამულეებიც ყარაულებათ იჭერენ ამისთანა პირებს, რადგან იაფ-ფასათ უდგებიან. ესენი არიან ნამდვილი ავაზაკები და აზრათ აქვთ, რომ თავიანთ ნაკლები ჯამაგირი გაიათკეცონ ჩვენი უბედური და საწყალი კაჭრეთის გლეხ-კაცებისაგან. ამ ნაირათ კი შეზავდა „შაიკა“ ავაზაკებისა, რომლებსაც ხშირათ შეხვდები, მეტადრე ღამით მინდვრათ და სოფლათ. მოჰპარვენ ბეჩავ გლეხ-კაცს რაიმე საქონელს და გაუყენებენ გზას. თუ წამოწევდი გზაში, მოგასწრებს სიტყვაში, ამ საქონელმა დიდი ზარალი მომცა ყორუღებში და იმიტომ დავიჭირეო. საწყალ გლეხ-კაცს კი ისე გაჰყვლეფენ, რომ მერეთ ფასათ დაუჯდეს. თუ არა — და, ეს ვაჟბატონები ისტუმრებენ ნადავლს ერთი ერთმანეთში.

ამ რიგათ არა ერთია გულ-ხელ დაკრეფილი და ყელ-გადაგდებული საცოდავი გლეხი კაცი ჩვენს კაჭრეთის საწყალ საზოგადოებაში, არამედ მრავალი. ამ ნაირ შევიწროებულ მდგომიარებაში ჩაყენებული საზოგადოება დაეცემა, რასაკვირველია. თვითონ მემამულენი კი განგებ ყურადღებას არ აქცევენ ასეთ ვითარებას და ამით უფრო ზარალს და განსაცდელს აყენებენ საზოგადოებას. კარგი იქნებოდა, ამ გარემოებას ყურს ათხოვებდნენ მემამულენი და საზოგადოების მოთმინებას უკანასკნელ წერტილამდე არ მიიყვანდენ.

დიმ. სოლოღაშვილი.

---

## კვირიდან კვირამდე.

ყველაფერი, რაც ადამიანთა შორის ერთობას ამყარებს,—სიკეთე და შვენიერებაა, რაც აცალკევებს მათ,—სიავე და სიმახინჯე.
ლეონ ტოლსტოი.

ჩვენში ხშირათ გაიგონებთ, ჩვენ, ქართველები, ერთმანეთის გაუტანელი ხალხი ვართ და საზოგადოთ, საერთოთ მოქმედება არ შეგვიძლიაო. ხშირათვე იმასაც ზე დაურთავენ ხოლმე, ჩვენში რაღაც „პარტიობა“ და „დას-დასობა“ გაჩნდაო და ეს ხომ იმისთანა მოვლენაა, რომ საზოგადო საქმეს სრულიად განადგურებას უქადისო. ასე გვარწმუნებენ ჩვენ. მწერლობის მოვალეობაა გაარკვიოს, თუ რა შეადგენს საგანს საზოგადო კრიტიკისას, და ააშოროს ამ უკანასკნელს ის ნისლი და ბურუსი, რომელიც მოახვია მას ჩვენს გაუტანლობაზე საყოველთაო ჩივილმა და უაზრო მითქმა-მოთქმამ. ჩვენც გვსურს ორიოდე სიტყვით შევეხოთ ამ საგანს იმ იმედით, რომ იქნება რაიმე საგულისხმო აზრი წარმოვუდგინოთ მკითხველს. ჩვენი აზრით საზოგადო ცხოვრებაში, რომელსაც სასიცოცხლო ნიშან-წყალი ემჩნევა, აუცილებელი უნდა იყვეს ჯგუფებათ, დასებათ და, თუ გნებავთ, „პარტიებათაც“ დაყოფა. ამის შიში სრულიად არ უნდა გვქონდეს. როცა რომელიმე ხალხის ცხოვრების სათავეში მდგომი მეთაური ნაწილი აზროვნებაში მონაწილეობას იღებს და საზოგადო საქმის გაუმჯობესების წყურვილით გატაცებულია, იქ უსათუოთ თავის თავათ ჩნდება სხვა-და-სხვა აზრის და შეხედულების მქონე წრეები. ეს არის ბუნებრივი მოვლენა. საზოგადოების ყველა წევრების აზრისა და შეხედულების მხრით „გაერთიანებას“ ვერავინ მიაღწევს და არც საჭიროა. რა გვარის და რა ფერისაც უნდა იყოს ახლათ დაბადებული საზოგადო მოღვაწეთა კრიტიკა — ჩვენ არ უნდა გავაყუჩოთ იგი. ჩვენში კი სულ სხვას ვხედავთ. აქ ცდილობენ, სამწუხაროთ, ახალ-გაფეთქილ თავისუფალ საზოგადო მსჯელობას პირდაპირ ყელში წაუჭირონ და გაჰგუდონ. ამგვარი წადილი, მეტადრე თუ ეს უმრავლესობას აქვს უმცირესობის დასათრგუნავათ—სხვა რომ არა ვთქვათ-რა—ხომ უსამართლოა და შეუწყნარებელი. საზოგადო კრიტიკის აღორძინება — ჩვენი „ფეხის ადგმაა“, საუკეთესო მომავლის მომასწავებელი და თხოულობს „გზას ფართოს“. ყოველი ჩვენი ჭეშმარიტი მოღვაწე ტაშის-კვრით უნდა მიეგებოს ამ ახალ მოვლენას და ააცილოს უსიამოვნება კრიტიკის პირველ დამწყებთ, ამ პიონერებს — უსიამოვნება, რომელიც უფრო მძალი ხასიათის მქონეთ ვერ აბედვინებს რომელიმე მოღვაწის მუშაობა გაარკვიოს, დააფასოს, და განზე აჩეროს. როგორც ვთქვით, სრულიად კანონიერ

მოვლენათ მიგვაჩნია დასების არსებობა ჩვენში. მხოლოთ ამათგან ვითხოვთ ერთობას და მწყობრ მუშაობას, როცა კი თვით საქმე ამას საჭიროებს. ყოველი ჩვენგანი მოვალეა სტამბის თუ სიტყვის საშუალებით საბუთიანათ და დალაგებით გამოიკვლიოს ამ გვარი საერთო საქმის დროს მომხდარი უთანხმოების მიზეზი და ამისათვის დაეკითხოს განზე მდგომს, დასი იქნება იგი თუ ცალკე მოღვაწე, ჟურნალი თუ გაზეთი.

სამწუხაროთ, ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა თავის პირდაპირ დანიშნულებას შესაფერათ ვერ ასრულებს. იგი არ უკვლევს ჭეშმარიტ გზას ჩვენს საზოგადო მსჯელობას, სტამბავს იმ გვარ წერილებს, რომელთ საგანი სრულიადაც არ არის ჭეშმარიტების და სიმართლის ძიება. ასე და ამ გვარათ. ჩვენმა ჟურნალ-გაზეთებმა თითქმის გაუცრუვეს იმედი ჩვენი საზოგადოების საუკეთესო ნაწილს. დაუსრულებელმა ზრდილობას და თავაზიანობას მოკლებულმა არა-საკადრისმა პოლემიკამ ხომ გული გაუწყრილა მკითხველ საზოგადოებას და ლამის დაამციროს მის თვალში ბეჭდითი სიტყვის მნიშვნელობა. ღრმათ უნდა ჩავუფიქრდეთ ჩვენი ცხოვრების ახლანდელ ვითარებას!.. მკითხველი საზოგადოება დაწინაურდა და ითხოვს მწერლობისაგან დასაბუთებულ და დარბაისლურ მსჯელობას ჩვენი საზოგადო ცხოვრების სხვა-და-სხვა მხარეზე. დავუკმაყოფილოთ მას კეთილშობილური მოთხოვნილება!..

—

ეკონომიური კრიზისი თანდათან მწვავდებ და გასაკვირველიც არ არის, რომ ჩვენი გაჭირებული მდგომარეობა ბევრს აფიქრებს... კრიზისის ერთ ერთ მოვლენას შეადგენს ხორბლეულობის ფასის შესამჩნევი დაკლებაც. ბევრმა დაიწყო ამის მიზეზის ძებნა. ზოგიერთმა გამოთქვა ის აზრი, რომ „მოჭარბებული წარმოების“ ბრალიაო. მაგრამ „სამიწათმოქმედო გაზეთს“, რომელიც პეტერბურგში გამოდის, მოჰყავს ზოგიერთი საინტერესო ცნობა, საიდანაც ვტყობილობთ, რომ მარტო ეს „მოჭარბება“ არ ყოფილა ხორბლეულობის კრიზისის „მშობელი“. გაზეთის სიტყვით (№№ 47, 1895 წ.) უნგრეთის მიწათ-მოქმედების სამინისტროს კონსულთა სააგენტოების დახმარებით შეუტყვია, რომ ყველგან შარშანდელი მოსავალი ხორბლეულობისა 152,00,000 ფუთით ნაკლები ყოფილა 1894 წლის მოსავალზე. ამისთანა მოუსავლობა, დიდი ხანია, არ ყოფილა და ამიტომ სამინისტროს ჰგონია, რომ წრეულს ხორბლეულობის ვაჭრობა გაჩაღდება მით უფრო, რომ შენახული ხორბლეულობის რაოდენობა გაცილებით თურმე მცირეა შარშანდელისაზე. თუმცა ამერიკაში, რუსეთში და საფრანგეთში საკმაოთ ბევრი ხორბლეულობა შენახულია, სამაგიეროთ რუმინიას, უნგრეთს, ბულგარიას, სერბიას, ავსტრიას, ჰოლანდიას, ინგლისს და ესპანიას არა აქვთ თურმე შენახული საჭირო რაოდენობა. ამავე სააგენტოების მოხსენებიდანვე ჩანს, ხორბლეულობის დასათესათ მომზადებულ ადგილსა და გარეთ გასატან ხორბლეულობის რაოდენობას შორის თურმე მჭიდრო კავშირი ყოფილა. ერთის შემცირებას შედეგათ მოსდევს მეორის შემცირებაც, თითქმის იმავე თანდათანობით. რადგანაც წრეულს შეერთებულ შტატებში მოსათესათ დანიშნული ადგილი 300,000 დესეტინით შემცირებულა და მოსავალიც უხეირო, საშუალოზე ნაკლები ყოფილა, ამიტომ ამერიკას არ შეუძლია ევროპის გამოკვება. ავსტრალიაში ამ მდგომარეობაშივე ყოფილა საქმე, არგენტინაშიაც კალიას წაუხდენია მოსავალი. რა თქმა უნდა, ძნელია იმის თქმა, რამდენათ უტყუარი ცნობები შეუგროვებიათ კონსულთა სააგენტოებს და გამართლდება თუ არა უნგრეთის სამინისტროს ვაჭრობის გაცხოველების იმედი?

თუნდ რომ ეს იმედი გამართლდეს კიდეც, ჩვენ იმისთანა სარგებლობას ვერ ვნახავთ, როგორიც შეგვეძლო გვქონოდა, ვაჭრობის საქმე რომ უფრო ჯეროვან ნიადაგზე დაგვეყენებია. საქმე ის არი, რომ ჩვენ სრულებით ყურადღებას არ ვაქცევთ საზღვარ-გარეთელ ბაზარს, არ გვაინტერესებს ეგრეთ წოდებული ექსპორტი. უამისოთ კი ვაჭრობა ხეირიანათ ვერ გაჩარხდება. ჩვენი აზრით საქმის მოწყობას ახლავე უნდა შევუდგეთ. მალე მართებლობის ნება-დართვით, იმედია, დაარსდება ეგრეთ წოდებული „თბილისის“ გუბერნიის გორის მაზრის მიწის მფლობელთა სამეურნეო ამხანაგობა“ *). განზრახულ ამხანაგობის საგანს, სხვათა შორის, შეადგენს ადგილობრივ მეურნეთა ნაწარმოების გასაღება, სესხის გაცემა ნაწარმოების დაწინდვის საშუალებით და სხვ. ამ ამხანაგობას წესდება ნებას აძლევს დააარსოს რუსეთში და საზღვარ-გარეთ კანტორები, საწყობები, მაღაზიები და სააგენტოები. ანხანაგობას შეუძლია აგრეთვე უძრავი ქონების შეძენაც. ამგვარი ამხანაგობის დაარსება ძლიერ საჭირო არის დასავლეთ საქართველოშიაც, სადაც სიმინდის ვაჭრობაზეა დამყარებული იქაური ცხოვრება. ამ ორი ამხანაგობის დაფუძნება შესამჩნევათ წასწევს წინ ჩვენს სამეურნეო მრეწველობას. ქართლში ამ სამაგალითო საქმის დამწყებთ უკვე შეუგნიათ, რამდენათ მნიშვნელოვა-

*) თავის დროზე დაწვრილებით გავაცნობთ მკითხველს ამ ამხანაგობის წესდებას.

ნია ჩვენთვის საზღვარ-გარეთ ბაზრის მოპოვება, ურომლისოთ ამგვარი ამხანაგობების მოქმედება თავის დანიშნულებას ვერ მიაღწევს. უწინარეს ყოვლისა პირველშივე საქმის რიგიანათ მოსაწყობათ საჭიროა ისე მოხერხდეს, რომ აქაურ რკინის გზამ მიიღოს მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის ნაწარმოების საზღვარ-გარეთ გასაღებაში, ანუ ექსპორტში. ასეთი აზრი გამოთქვა ამ დღეებში „ნოვოე ობოზრენიეში“ პაველ იაქიმოვმა. ჩვენ პრინციპიალურათ ვეთანხმებით ბ. იაქიმოვს. ჩვენ გვგონია, რომ რკინის გზას უფრო ადვილათ შეუძლია სააგენტოების და სხვა ამისთანა დაწესებულების გამართვა საზღვარ-გარეთ უმთავრეს სავაჭრო ადგილებში. ამგვარი სააგენტოების წინააღმდეგი არც კანონია. რკინის გზისავე გამგეობას შეუძლია სავაჭრო ადგილებისკენ გზის შტოების გაყვანა, სადგურებზე ელევატორების აშენება და სხვა რთული ოპერაციები. კერძო თაოსნობას, რომელიც უნდა გამოიხატოს ზემოხსენებულ ამხანაგობათა დაფუძნებაში, საგნათ ექნება საქმის ჯეროვანათ მოწყობა რკინის გზის ლ იანდაგს გარეშე. ამათ, შიგნით, მაზრებში უნდა დააარსონ საწყობები, პატარა ელევატორები, მაღაზიები და სხვ. ამ საწყობებიდან მოზიდვენ ხორბლეულობას რკინის გზის სადგურებზე. აქ კი გზის გამგეობა გასცემს სესხს ნაწარმოების დაწინდვით, აიღებს საკომისიოთ გასაყიდათ ხორბლეულობას და სხვ. უკეთუ კერძო თაოსნობა თავს იჩენს და საქმეს რიგიანათ მოაწყობს, რკინის გზის მმართველობაც უსათუოთ ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენს. ჩვენ უნდა ვისარგებლოთ ამისთანა დაწესებულებით, როგორიც არის რკინის გზა, და გავხადოთ მაშუალათ, ჯერ-ჯერობით, ვიდრე წელში გავიმართებოდეთ, აქაურ მწარმოებელთა და საზღვარ-გარეთელ მომხმარებელთ შორის. სანდო პირების შოვნა და მწყობრი მუშაობა — თავმდები იქნება ამ სასარგებლო საქმის რიგიანათ წარმართვისა.

გრ. ოდიშ.

---

# ხ ა ლ ხ უ რ ი

(ჩაწერილი ა. კობაიძესაგან სოფ. გერგეტში).

ბურგუნთიით ქალი მოსულა, თვალები უგავს მწყერსაო,
ჰკითხულობს ქართლის მშვიდობას, ჰფიცავს ერეკლეს მზესაო.
ერეკლემ შემოუთვალა: — დავ! ნუ შეირთავ ქმარსაო,
თორემ მოვალ და მოგიკლავ, ზედ გადავაფრენ ცხენსაო,
მანდით ნუ გინდა სასახლე, აქეთ გადმოდი გრემსაო.
— არ ვიცი გრემი — გრემისა, არცა რამ ჩამდის გულსაო,
არცა მსურს გრემში სასახლე, არც გრემს შევირთავ ქმარსაო.

---

***

ვუძღვნი მ. ვ. ჯამ.-ორბელიანისას.

ვის მივულოცოთ ახალი წელი?
იმას, ვინც ბედის მაძღრიერია,
ვინც რომ წარსულით იყო დამტკბარი
და ცხოვრების გზა არ აერია.

—

ვინც მომავლითაც იტკბობს გონებას,
მისი მყობადი ბედნიერია,
ქედ-მოდრეკილი შვებას არვის თხოვს
და მას ადიდებს მთელი ერია.

—

მაშ ის, ვინც არის ბედით დევნილი,
ვისთვის ნათელი მედამ ბნელია,
იმას რას მისცემს ახალი წელი,
მისთვის ახალი-ისევ ძველია.

—

ვინც აღარ ელის ნუგეშს ამ სოფლათ,
ვის გულის ძალა გამოელია,
იმას რათ უნდა ახალი წელი,
მასთან რაღა აქვს საწუხველია?

—

მაშ მივულოცოთ მომავალ ყრმათა,
მოსწავლეთ, მოზარდ ახალ თაობას,
მათთვის ვისურვოთ მრავალი წელი,
რომ შორს გაუდგენ მტრობას, ავობას.

—

გნ. ნინო ორბელიანისა.

# ის კი მიდიოდა...

(ი. ფანცხავას).

სხვა უყვარს, სხვა!.. ხა, ხა, ხა, ხა!.. ხვალიდან იგი სხვისია, საუკუნოთ სხვისი!

გუშინ უკანასკნელათ ვნახე. მის ნაზს, ოდნავ ფერმკრთალ სახეს, რომელსაც იდუმალ შარავანდედს ჰფენდენ მოელვარე თვალები, არ ეტყობოდა არავითარი აღელვება. მაგრამ რათ მარიდებდა თვალს? რათ იყურებოდა ისე კერპივით წინ, რას გაურბოდა? ჩემ სიყვარულს? მე ხომ მისთვის არაფერი მითქვამს, სულ არაფერი. მაგრამ რა უგუნური ვარ!.. განა შეიძლება დაფარვა? მე მეგონა, რომ რაღაც უხილავი სიმები გვაერთებდენ ჩვენ, რომ ჩემი გულისთქმა მისთვის ცხადი იყო.

მისი სახე! რათ არის ასეთი - მიმზიდავი, ასეთი მეტყველი! იგი მშვიდია, სევდიანი, ზოგჯერ ცივი, როგორც მარმარილო, მაგრამ ყოველთვის დაფიქრებული, ძნელი გასაგები, ძნელი ასახსნელი. რათ იტაცებს, რათ იწვევს ასეთი ძალით? რა ძალაა ეს ფარული ძალა? მე ამაოთ ვცდილობ მის სულის გამოცნობას, ამაოთ ვცდილობ მივხვდე, რა იმალება იქ, თვალებს იქით... იგი მიუკარებელია, უნდო. ჩემი სურვილი არც კი ეხება მას, სხლტის როგორც ყინულზე. მისი თვალები კი თითქო ყველას ეკითხებიან, შეიძლება შენი ნდობა, თუ არაო. რათ კითხულობენ, თუ არ ენდობიან! მაგრამ ის ხომ უცნაურია, უცნაური! იგი სრულიად არა ჰგავს სხვებსა. ვინ იცის, იქნება, ეს არის მიზეზი, რომ ასე მიყვარს.

გუშინ უკანასკნელათ ვნახე. ზამთრის თბილი დღე იყო. ქუჩაში ხალხი ძალიან ცოტა. იგი მიდიოდა ჩუმათ. მეც. თოვლის თეთრი სუბუქი ნაფთქიალები ნელ-ნელა ტრიალით მოდიოდენ ზეციდან. ბოლოს ჩვენ გავშორდით. წავიდა იგი. არ ვიცი, როგორ შევიკავე თავი. საშინელი, გამოუთქმელი ტკივილი ვიგრძენი გულში. ფიქრი აღარ შემეძლო. მხოლოთ ერთი მკრთალი გრძნობა-ღა შემრჩა და, როგორც წყვდიად ღამეში ზღვის კანდელს, თვალს არ ვაშორებდი. ეს იყო მოლოდინი, უაზრო იმედი, რომ უნდა მომხდარიყო სასწაული, რაღაც არა ჩვეულებრივი და მას უნდა გაეფანტა ეს საშინელი სიზმარი. მერე რა ახლო მეგონა ეს სასწაული, რა ახლო! ის კი მიდიოდა, მიდიოდა და თეთრი პეპელების გუნდი თან მისდევდა მას. ისინი გარს ეხვეოდენ, რაღასაც თხოვდენ, ევედრებოდენ. ერთხელ კიდევ მოახედეს ჩემკენ. ისინი ეალერსებოდენ მას, იხედებოდენ მის თვალებში, ისვენებდენ მის თმებზე, მის წამწმებზე, ნაზათ ეხებოდენ მის ტუჩებს და ჩუმათ, სულ ჩუმათ, ნელი ხმით მოუთხრობდენ ცაურ ამბებს, უმღერდენ სიყვარულის, მომაკვდავი სიყვარულის მწუხარე სიმღერას, ჰიმნს დაობლებული სულისას. ყოველივე ამაო იყო! მისი ცივი ღიმილი ჰკლავდა მათ, სპობდა მ თ სიცოცხლეს და ეს წმინდა მოციქულნი ზეცისა, ცრემლათ ქცეულნი, უსულოთ ეცემოდენ მიწაზე... ამას ვერავინ გრძნობდა, ვერავინ ხედავდა. მხოლოთ მე. ის კი მიდიოდა გამალებული, არ ისმენდა, თითქო ეშინია არ იძლიოსო, და ახალი გუნდი თეთრი პეპელებისა კვლავ აცილებდა მას, კვლავ ეხვეოდა გარშემო...

ბოლოს თვალთაგან მიმეფარა. მე მივდიოდი მარტო, როგორც სიზმარში მყოფი. ჩანს კარგა ხანს მევლო. მე თურმე სასაფლაოზე გავსულიყავ და იქ ჩემდა უნებურათ ვსინჯავდი ძვირფას ძეგლებს, მარმარილოს ლუსკუმებს. ვუცქერდი ძ ვერასა ვხედავდი. სიჩუმე იყო ჩვეულებრივი, მყუდროება სრული და შეურყეველი. ყველგან სუფევდა მორჩილება, მშვიდობიანობა. აქ თვით სიკვდილიც კი მომკვდარიყო. ერთი აღლის ქვეშ კი დამარხული იყო ათასგვარი ბოროტება, სიბილწე, უკუღმრთობა. მე მომივიდა ფიქრათ, რომ სიკვდილი მხოლოთ მათ დასათრგუნავათ იყო გაჩენილი.

ერთ ადგილას შევჩერდი. თეთრმა ლუსკუმამ მომტაცა თვალი, მიიპყრო მთელი ჩემი გულისყური. ეს იყო შვენიერი ხელოვნური ქანდაკი. მის უზაკველ წმინდა სახეს სევდის, უსაზღვრო სევდის შუქი ეფინებოდა. ეს იყო თვით მწუხარება, ეს იყო სევდა, „მტირალი და ჩემი სულისა“. ცალი ხელი მიქცეული ჰქონდა მიწისკენ, სადაც ყვავილების ბუჩქები თოვლს ოდნავ წაეფერფლა, და მწუხარებით დაჰყურებდა მათ. მე დავენდე მოაჯირს და ვუმზერდი ამ საოცარ, სევდით სავსე სახეს. დიდ ხანს ვიდექი, დიდ ხანს... ბინდმა დაჰკრა. მე კვლავ უძრავათ ვიდექი. მაგრამ ნელ-ნელა, შეუმჩნევლათ, სინათლესთან ერთათ სახე იგი გადნა ჰაერში, გაიშალა, სრულიად იცვალა, გაცხოველდა... და მე დავინახე სხვა, სულ სხვა სახე... დიაღ, ეს მისი სახე იყო.

მე არა ვგრძნობდი სიცივეს, არაფერს, სულ არაფერს... მე გავქვავდი მის მზერაში.

. . . . . . . . . . . . . . .

უეცრათ ფეხის ხმა მომესმა. შევკრთი. ჩემს ახლო იდგა სასაფლაოს მცველი.

—გეყოფა მაგის ცქერა,—დაცინვით მითხრა მან,—გაიყინები. დროა, კარები დავკეტო. ეგ ხომ ხვალაც აქ იქნება.

ვინ?..

ან. დეკანოზიშვილი.

## სალვთო ნილოსი.

ნილოსი ეგვიპტის ვეებერთელა და გრძელი მდინარეა. ეგვიპტე კი მდებირებს აფრიკაში. სამხრეთით ეგვიპტის საზღვარია ქალაქი ასუნი, რომელიც დევს ტროპიკზე (ტროპიკი არის ქეშაო ხაზი, რომელიც ეკვატორიდან ორივე მხრით $23^1/_2$ გრადუსზეა დაშორებული). ჩრდილოეთით საზღვრავს ხმელთა შუა ზღვა. ხოლო მე-30 ქეშაო ხაზი ეგვიპტეს ორათ ჰყოფს—ზემო და ქვემო ეგვიპტეთ. ზემო ეგვიპტე წარმოადგენს ვიწრო და გრძელ ხეობას, რომლის განი ოთხ ვერსტს არ აღემატება. მაგრამ ეგვიპტე არც კი იქნებოდა, რომ მას არ რწყავდეს სალვთო, წმიდა და კურთხეული ნილოსი. სიგრძით ნილოსი $5^1/_2$ ათას ვირსზე მეტი იქნება. მაგრამ გემებით მიმოსვლა მასზე კი მხოლოთ ათასი ვერსტის მანძილე შეიძლება. რამდენათაც მდინარის სათავეს უახლოვდებით, იმდენათ უფრო და უფრო შეუძლებელია ნილოსზე გემით ან ტივით მიმოსვლა. ეს კი იმის ბრალია, რომ ნილოსის კალაპოტში ბევრი და დიდრონი ქვებია, ამის გამო ჩინჩქერები ხშირია. მაგ. ფრიად ცნობილია მურჩისონის ჩანჩქერი. ნილოსი, თავის ადიდების დროს, რწყავს მხოლოთ ოთხი ვერსტის მანძილზე მდებარე მიდამოს ორივე მხრით. აი, ამ ადგილზეა მხოლოთ შესაძლებელი მიწად-მოქმედება. ადიდება კი ნილოსმა იცის მარიამობისთვის გასულიდან დაწყებული ვიდრე ენკენისთვის დამლევამდე. ამ დროს მას მოაქვს თავის წყალში გახსნილი ათასგვარი ნივთიერება და ნოყიერი ტურტყლი, რაიც ჰალებსა და მინდვრებზე რჩება და მიწას ანოყიერებს. სწორეთ ამ ადიდების დროს შეიმკობა ნილოსის მიდამო ბალახითა, ამწვანდება მდელო[illegible]მავე დროს მკვიდრნი თესვენ სხვა-და სხვა ხორბლეოლებას, რომელიც შემოვა ხოლმე სააღდგომოთ. ჩვენში რომ ზამთარია, იქ ამ დროს პური მწიფდება. ზაფხულობით კი ნილოსი, ეს უზარ-მაზარი მდინარე, ისე დავარდება, რომ პატარა რუთ გადიქცევა; ზოგან შეგუბდება და აყროლდება კიდეც. ამ დროს მისი წყალი არც ისმება. მიდამოც მთლათ ერთიანათ გადამწვარია. ჩანს ჩვენი გაზაფხული უდრის უქარ შემოდგომას. ზაფხული კი იქ აუტანელია თავისი სიცხე-პაპანაქებით.

თუ ყოველ წელიწადს ნილოსი ნაპირებზე არ გადმოვიდა და მიდამო არ მორწყო, იმ წელს ეგვიპტეში შიმშილობა მოელის ყველას. ასე დიდი



ნ ი ლ ო ს ი ს ხ ე ო ბ ა.

მნიშვნელობა აქვს ნილოსის ადიდებას. მიზეზი კი ამისა უწინდელმა ეგვიპტელებმა არ იცოდენ და ამიტომ ნილოსს წმიდა და საღვთო მდინერეთ სახავდენ. ახლა კი ცნობილია, რომ მაისიდან დაწყებული მარიამობისთვის დამლევამდე ნალოსის სათავე-ში ყოველ დღე კოკის პირული წვიმა მოდის. ამ წვიმას ტროპიკული წვიმა ეწოდება და ნილოსის ადიდების მიზეზიც ეს წვიმებია.



მურჩისონის ჩანჩქერი.

## სიტყვა თქმული ქუთაისის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებაში თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავ. სვიმონ წერეთლის მიერ.

ამ ბოლო დროს ბევრი თქვენგანი არა ერთხელ დამეკითხა, რას ჰნიშნავს, რომ სატახტო ქალაქების ზოგიერთი გაზეთები ბეჭდავენ წერილებს, რომლებშიაც მეკობრულათ არ გვიხსენებენ და სისტემატიურათ გვდევნიან საზოგადოთ ადგილობრივ ელემენტს. მარწმუნებდენ, რომ როგორც თავად-აზნაურობა, ისე დანარჩენი ხალხი შეშფოთებული და შეძრწუნებულია იმის გამო, რომ ზოგიერთი, ვითომ-და გავლენიანი გაზეთები ჩვენს წინააღმდეგ ამხედრებულან, შეძრწუნებულია მით უფრო, რომ ასეთი ამხედრება, ყველას აზრით, ჩვენ სრულიადაც არაფრით გამოგვიწვევია. ვინც კი მომმართა გაეგო ჩემგან, რა არის მიზეზი ასეთი სამწუხარო მოვლენისა, მე მოკლეთ და მტკიცეთ ვაძლევდი პასუხს, რომ სატახტო ქალაქების გაზეთების კავკასიელი კორესპონდენტების ნაწერებში, რომლებიც ჩვენს წინააღმდეგ არიან მომართულნი, სრულიადაც არ იხატება არც შეხედულება რუსეთის სახელმწიფო წრეებისა, არც თვით რუსეთის საზოგადოების აზრი-მეთქი. ამასვე გაგიმეორებ ახლა და დარწმუნებულიც ვარ, რომ ეს ჩემი მტკიცე პასუხი სრულიად გაჰფანტავს ყოველგვარ ეჭვს, თუ რომ ეს ეჭვი ჩვენ თავად-აზნაურთაგანს ვისმე აწუხებს, თუ რა მნიშვნელობა და ხასიათი აქვს სატახტო ქალაქის ერთისა ან ორი გაზეთის ჩვენს წინააღმდეგ ასე ამხედრებას.

„ბატონებო! თუ რომ ღრმათ ჩავუკვირდებით ჩვენს საკუთარ ისტორიას, ჩავუკვირდებით რუსეთის ჩვენთან დამოკიდებულებათა ისტორიას, მაშინ არ შეიძლება არ დავრწმუნდეთ, რომ სახელმწიფოს უმაღლესი წრეები და თვით რუსეთის საზოგადოება, მაშასადამე, ჟურნალ-გაზეთობაც მხოლოდ სიყვარულითა და ნდობით უნდა გვეპყრობოდენ და არა სხვაფრივ. ხომ ყველამ ნამდვილათ იცის, რომ ჩვენ, ქართველები, ძალით დამორჩილებული ხალხი არა ვართ, არამედ ჩვენი ნებით შევუერთდით რუსეთის ერთმორწმუნე ერს. ვინ არ იცის, რომ რამდენისამე საუკუნის განმავლობაში ეროვნებისა, სარწმუნოებისა და ენისათვის თავ-განწირულათ ვიბრძოდით ძლიერი მტრების წინააღმდეგ, რომელნიც ყველა მხრიდან გვაეიწროებდენ. ყოველივე ეს დიდ ტანჯვათ და ბევრ სისხლათ გვიღირდა; მაინც, მიუხედავათ იმისა, რომ ბედი ჩვენი მუდამ ცვალებადობდა, არ დავეცით მაჰმადიანთა ბრბოთა უსწორო ბრძოლაში, იმ ბრბოთა, რომელთაც შიშსა და მორჩილებას ქვეშე ჰყავდათ აღმოსავლეთი და დასავლეთშიაც ძლევა-მოსილათ გადგეს ფეხი. ყველაფერი, რაც-კი ჩვენთვის ძვირფასი იყო და რისთვისაც ბედის წინაშე ასეთი მორჩილებით ვატარებდით საუკუნოთა განმავლობაში მოწამებრივ გვირგვინსა და ქრისტეს ჯვარს, შევიძელით ხელშეუხებლივ შეგვენახა XIX საუკუნემდე. აქ კი ჯვრისა და სახარების მტრებთან საუკუნოების განმავლობაში ბრძოლით დაქანცულთ ჩვენ მივმართეთ თხოვნით ერთმორწმუნესა და ძლიერ სახელმწიფოს, რათა ჩვენ ისტორიული სამკვიდროთი მევეღეთ მას თავის მაღალ მფარველობას ქვეშ. რუსეთის დიდსულოვანმა მონარქებმაც, რომელნიც მუდამ სიყვარულითა და ნდობით ეპყრობოდენ ქრისტეს მორწმუნე საქართველოს და მის სამსახურს ქრისტიანობისა და კაცობრიობის წინაშე აფასებდენ, ისმინეს ხმა ჩვენი ერისა, რომელიც ქრისტიანობის უკანასკნელ სიმაგრეს წარმოადგენდა მაშინ მთელ აღმოსავლეთში, და რუსეთის დიდ ოჯახს შაგვაერთეს იმავე უფლებით, როგორც მისი ნამდვილი შვილნი. იმ დღიდან, რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა, დღევანდლამდე მთავრობის ჩვენდა მომართ დამოკიდებულება არაფრით შეცვლილა, მით უფრო, რომ ასეთი მიზეზი არავისთვის მიგვეცია: ჩვენ მუდამ რუსეთის მონარქების ერთგული ქვეშევრდომნი ვიყავით. მშვიდობიანობის დროს მუდამ რუსეთის იმპერიის ერთგულნი და თავ-გადადებული მამულის-შვილნი ვიყავით, ხოლო ომის დროს რუსეთის ქრისტეს მოყვარე მხედრობასთან ერთათ ვღვრიდით სისხლს გარეშე მტრებთან ბრძოლაში. ჩვენცა და ჩვენი მამა პაპანიც მუდამ მონაწილეობას ვიღებდით რუსეთის მხედრობასთან ერთათ და ვიღვწოდით ჩვენი საერთო მამულის სასახელოთ. მაშასადამე, ცილს გვწამებენ ისინი, ვინც ამბობს, რომ ჩვენ სანდო ხალხი არა ვართ, რომ ჩვენ სახელმწიფო ცხოვრების მთავარ აზრს ვმტრობთ და ამიტომ უნდა გვავიწროვებდენ. ცილს გვწამებენ ჩვენც, მთავრობასაც და მთელ რუსეთის ერსაც, როდესაც ამბობენ, რომ ეს აზრი ამ უკანასკნელთა აზრიაო... ვინც ჩვენზე ასეთ უსამართლობას წერს და ასე მტრულათ გვეპყრობა, იგი თვალსაფარით ამბობს პატრიოტი ვარო. ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი, რომ მის კალამს ღრმა მამულისშვილური გრძნობა და გულწრფელი ზრუნვა მამულისათვის ამოქმედებს. მაგრამ ასეთი ვაჟბატონები თავის აზრს ვერ მიაღწევენ. პატრიოტი არ არის და არც მამულის შვილური სიყვარული აქვს, ვინც სისტემატიურათ ცდილობს

შეასუსტოს, ან-და სრულიად მოწყვიტოს ძირიანათ საუკუნოების განმავლობაში არსებული ძმობა და სიყვარული, რომელიც საერთო მამულის კერძო ელემენტთა შორის არსებობს. პირიქით, ჭეშმარიტი და მტკიცე მამულიშვილი უნდა ცდილობდეს, რომ უფრო მეტათ გაუდგას ფესვი, გაძლიერდეს სიყვარული და ნდობა, რომელსაც მთავრობა ჩვენდამი ჰგრძნობს,—განამტკიცოს ის ღრმა ერთგულება, რომელიც მუდამ გვქონია რუსეთის მონარქებისადმი, რომელთაც მშვიდობისა და მოქალაქეობის ნაყოფი მოგვანიჭეს.

,,მე ღრმათ დარწმუნებული ვარ, რომ ამ ვაჟ-ბატონებს ამოქმედებს მამულის სიყვარული კი არა, არამედ პირადი მოსაზრება და პირადი ინტერესი. წაიკითხეთ მათი ნაწერი და დარწმუნდებით, რომ ისინი სრულებით არ იცნობენ ჩვენს წარსულს, არ იციან ჩვენი აწმყო; დარწმუნდებით, რომ ფაქტები, რომლებზედაც თავიანთ მსჯელობას ამყარებენ, ან განზრახ შერჩეულია ან-და პირდაპირ მათგანვე შეთხზულია. ასეთ საშუალებას მიმართავენ ხოლმე მოურიდებელი ავტორები იმ შემთხვევაში, როდესაც სურთ ნამდვილი მიზეზი დაჰფარონ, რამაც მათ ხელში კალამი აიღებია. მე ნამდვილათ ვიცი და ეჭვიც არა მაქვს, რომ, თუ სატახტო ქალაქების გაზეთების მოთავეებმა იცოდენ ამ კორესპონდენტთა ნაწერების ჭეშმარიტი აზრი, მაშინ თვითონვე მათ ზიზღით შეაქცევდენ სამუდამოთ ზურგს. მაშ ასე, ბატონებო, ნუ მიაწერთ ნურავითარ მნიშვნელობას ამ ვაჟბატონების ნაწერებს და დარწმუნებული იყავით, რომ მთავრობაც და თვით რუსეთის საზოგადოებაც კეთილი განწყობილებით გვეპყრობა თავადაზნაურობასაც და მთლათ ადგილობრივ მკვიდრ მცხოვრებთაც. ჩემი ნათქვამის დასამტკიცებლათ გაძლევთ სიტყვას, მაისში, რუსეთს რომ წავალ, ჩამოგიტანოთ ნამდვილი ცნობები, რომლებსაც, იმედი მაქვს, უფრო სარწმუნო და სანდო კაცებისაგან და წყაროებიდან შევიტყობ.“ (,,ნ. ობ.“).

## სოფელი და სასოფლო შკოლა გერმანიაში. *)

(დასასრული)

აქ მოვიყვანთ რამდენიმე ციფრებს, საიდანაც მკითხველი დაინახავს სოფლის მცხოვრებთა მოძრაობას.

ვიურტემბერგში წელს, 14 ივნისს, ირიცხებოდა 2,071,407 სული, 1890 წ. კი 2,036,522 სული. წელს 34,885 სულით მეტია. ახლა გავიგოთ, ეს მომატებული რიცხვი რანაირათ არის განაწილებული სოფელსა და ქალაქს შორის. ამ ხუთი წლის განმავლობაში მარტო ქალაქებს მომატებია 37,612 სული, მაშასადამე, სოფლების მცხოვრებთა რიცხვს არა თუ მომატებია, პირიქით 2,727 სულით დაუკლია. ეს რიცხვი შესამჩნევათ აიწევს, თუ სახეში მოვიღებთ შემდეგს: ზემოთ მოყვანილ ქალაქებთა შორის ნაანგარიშევია მხოლოთ ისეთი ქალაქები, რომლების მცხოვრებთა რიცხვი შეიცავს არა ნაკლებ ხუთი ათასის მცხოვრებისას, მაშინ როდესაც აქ ქალაქათ ითვლება ყველა ის საზოგადოება, რომლის წევრნი ორი ათას აცილდება. ვამოიანგარიშეთ ნამდვილი, სამეურნეო ამათი ზრდაც და გამოვა, რომ სოფელი ჩქარის ნაბიჯით წასულა უკან. აგრეთვე საგულისხმოა თვითეული სოფლის მოძრაობა. სამწუხაროთ ნოენბურგის მაზრის შესახებ ციფრები ხელთ არა გვაქვს, ავიღოთ კირხიანის მაზრა.

| სოფლები. | 1890 წელს. | 1895/წ. | | |
|---|---|---|---|---|
| ბისსინგენი | 1295 მცხოვ. | 1231 | სულ დაუკლია | 64 |
| ჰეპსიკაუ | 538 ,, | 512 | ,, ,, | 26 |
| ნოტცინგენი | 1007 ,, | 994 | ,, ,, | 13 |
| ოხსენვანგი | 341 ,, | 330 | ,, ,, | 11 |
| ომდენი | 646 ,, | 623 | ,, ,, | 23 |
| მლაცსტალ | 150 ,, | 142 | ,, ,, | 8 |
| მოჰფლოხ | 677 ,, | 636 | ,, ,, | 41 |

მეორე მხრით, მრავლობს კირხიანის ახლომახლო მდებარე სამრეწველო სოფლებში. მაგ. დეტინგენში 1890 წ. 1936 მცხოვრებია, წელს კი 1979, იესინგენში—819 მცხ., წელს 872, ლინდორფში—338 და 394, ობერლენინგენში 759 და წელს 810 და სხ. ერთი სიტყვით სადაც კი რაიმე მრეწველობა ფეხს იდგამს, ხალხიც მრავლდება. მეურნეობაზე მდგომი სოფელი კი ცალიერდება. ავიღოთ ორი რიცხვი: 1839 და 1895 წლებში და გავშინჯოთ მცხოვრებთა მოძრაობის მხრით.

*) იხ. კვალი № 4.

| სოფლები: | 1839 | | 1895 | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბისინგენი | 1780 | მცხოვ. | 1231 | სულ | ნაკლები | 549 |
| გუტენბერგი | 650 | „ | 536 | „ | „ | 114 |
| ჰეპსრკაუ | 545 | „ | 512 | „ | „ | 33 |
| დეტტინგენი | 2351 | „ | 1979 | „ | „ | 371 |
| ნაიდლიგენი | 1028 | „ | 876 | „ | „ | 252 |
| ნოტელინგენი | 1238 | „ | 994 | „ | „ | 244 |
| ოვენი | 1816 | „ | 1467 | „ | „ | 349 |

და სხვა. და სხვა.

ამნაირათ სოფელი უკან-უკან მიდის და ქალაქი იზრდება. სოფლის განვითარების ახალ ისტორიას ორი ხანა აქვს: პირველი, საშუალო საუკუნოების დასრულების და მუდმივ ომიანობის შემცირებისთანავე წყებულობს როგორც სოფელთა ისე მათ მცხოვრებთა რიცხვის გამრავლება. ეს ისეთი სწრაფი ნაბიჯით მიმდინარეობს, რომ სოფელი თავის მოჭარბებულ ელემენტს ქალაქისკენ გზავნის. იზრდება ქალაქიც და სოფელიც. ჯერ კიდევ მათ შორის წინააღმდეგობა თვალსაჩინო არ არის, ის ჩასახულია და დღითი დღე ვითარდება. რამდენსამე ხანს შემდეგ ის აღწევს უმაღლეს წერტილამდე და სოფელიც ქალაქის ბრჭყალებში ვარდება. აქ მეორე ხანა იღებს სათავეს, რომელიც ჯერაც არ დასრულებულა. ჩნდება ახალი მოვლენა. სოფლის მცხოვრებთა რიცხვი თანდათან კლებულობს, სოფლელები ქალაქებში იხიზნებიან, ამით დაისკვნა ქალაქსა და სოფელს შორის მუდმივი ბრძოლა, ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლოთ. მათი ინტერესები ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, მათი ცხოვრება სხვა-და-სხვა კალაპოტში მოძრაობს. ამ ორი ელემენტის შერიგება ყოვლად შეუძლებელია დღევანდელ წყობილებაში, ვინაიდან ეს წყობილება მათ შეურიგებლობაზე არის გამაგრებული. ან ორივე უნდა დარჩეს, ან ორივე უნდა გაჰქრეს. მეტი გზა არ არის...

მივუბრუნდეთ გერმანიის სოფელს. თვითეულ მაზრაში რამდენიმე სამაზრო ექიმია, ცხოვრობენ სხვა-და-სხვა ადგილას და თვითეულს მიჩენილი აქვს საკუთარი საექიმო კუთხე. წელიწადში ოთხჯერ დაივლიან სოფელს, სინჯვენ სანიტარულათ ავათმყოფებს, უწერენ რეცეპტებს და სხ. თუ რაიმე მოარული სენი გაჩნდა, ექიმი დაუყოვნებლივ მოდის, მოაქვს წამლები და ავათმყოფებს ურიგებს, დადის სახლებში, აკეთებს დეზინფენქციებს, იძლევა დარიგებას, თუ საჭიროა ახურვინებს შკოლას და სხ. ამას გარდა ის ვალდებულია მოვიდეს კერძო პირის დაბარებით. ყველა ამაში, რასაკვირველია, გლეხ-კაცი არას იხდის. აფთიაქები ისეთ მოხერხებულ ალაგას არის გამართული, რომ თვითეული სოფელი ადვილათ წვდება. გლეხ-კაცს დაკლებულ ან სრულიად უფასოთ გამოაქვს წამალი. ღარიბებს მუქთათ ეძლევა. ეს მთელ გერმანიაში ერთსა და იმავე საფუძველზე არის დამყარებული. ბისმარკის საშინაო „პლანები“ ანუ მისი სახემწიფო სოციალიზმი ასეთ ზომების დაკანონებაში მდგომარეობდა. ამავე „პლანებს“ ეკუთვნის ის ათასნაირი დაზღვევა, რაც ასე მოდებულია მთელ გერმანიაში. ბისმარკი ფიქრობდა ამით ნიადაგს გამოვაცლი სოციალ-დემოკრატიასო...

დიდრონ სოფლებში არსებობს საქველმოქმედო საბჭო (stiftungsrath), ის ცდილობს სხვა-და-სხვა საშუალებებით ფული შეიძინოს და სოფლის გაჭირვებულთ დაეხმაროს. საბჭოს შემოსავალი შედგება საწევრო ფულიდან, კერძო შემოწირულობისაგან, ხელის-მოწერით შეკრებილისაგან და სხ. ამას პირდაპირი კავშირი აქვს შკოლის ნივთიერ მდგომარეობასთან. ყიდულობს სასკოლო ნივთებს და ურიგებს ღარიბ მოსწავლეთ და სხ. ამის შესახებ ვიტყვით მეორე წერილში. სოფელშაა სხვა-და-სხვა დასაზღვევი საზოგადოებების კანტორები, ზოგ მათგანს მასწავლებელი განაგებს, ზოგს ყავა-ხანის პატრონი. ამისათვის აქ განსაკუთრებითი აგენტი არ ცხოვრებს. თვითეული სახლი დაზღვეულია, ხშირათ, საოჯახო სამკაული და სიცოცხლეც. განგებ დაწვა და სხვა ამისთანა ხრიკები არ არსებობს, დააზღვევენ იმდენათ, რამდენათ ნამდვილათ ღირს, შესატანი გადასახადი ცოტაა, რადგანაც დიდი კონკურენციაა სხვა-და-სხვა დასაზღვევ საზოგადოებათა შორის. სახემწიფო გზის პირათ მდებარე სოფელში გამართულია ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება. ამას განაგებს სოფლის ბურგომაისტერი, რისთვისაც კერძო ჯამაგირი ეძლევა. მაგ. ს. დობელში ბურგომაისტერის ქალი-შვილი ასრულებს ფოსტა-ტელეგრაფში მოსამსახურეს თანამდებობას. დღეში იღებს მარკას. ცხადია, ასეთი პატარა ჯამაგირით განსაკუთრებითი მოხელეს დანიშვნა არ შეიძლება, ამიტომ ამას ისევ სოფელშივე მცხოვრებს აბარებენ. ახლო-მახლო მდებარე სოფლების გასაგზავნი ან მისაღები წერილები აქ გროვდება, აქედან დამტარებელი დადის სოფლებში, არიგებს წერილებს და გაზეთებს (ტელეგრამასაც). მასვე მოაქვს გასაგზავნი წერილები. ასე რომ ყოველ სოფელში, სადაც უნდა მდებარეობდეს, შეიძლება წერილების მიღება და გაგზავნა. ფოშტის ეტლი დღეში ორჯელ მიდის და მოდის რკინის გზის სადგურზე.

რას კითხულობს გერმანელი გლეხ-კაცი? ამ კითხვაზე აქ ერთობ ბევრს წერენ, განსაკუთრებით სოფლის მღვდლები, *) რადგან ესენი ახლო დგანან

*) აქ არ შეიძლება ღვდლობა მიეცეს ისეთს, რომელსაც უმაღლესი განათლება არა აქვს მიღებული, გიმნაზია და სადვთის—მეტყველო ფაკულტეტი უნდა დაამთავროს.

გლეხებთან. ჯერ მოეიყვანთ ჩვენ მიერ ნახულს და დაკვირებულს, მერე ერთი ღვდლის აზრს. იშვიათია ისეთი გლეხ-კაცი, რომელიც გაზეთს არ კითხულობს. ყოველ მაზრაში გამოდის რამდენიმე პატარა სამაზრო გაზეთი. ამათში ცოტ-ცოტა ყველაფერზეა ლაპარაკი-ახალი ამბები, ტელეგრამმები, ფელეტონი, პოლიტიკა და სხ. განსაკუთრებითი ყურადღება მიქცეულია მაზრის ავკარგიანობაზე. აქ თქვენ ამოიკითხავთ ასეთ ამბებსაც: ამა და ამ სადგურზე წყვილი გოჭი გაიყიდა ამდენათ, ამ და ამ ბაზარზე ერთი გირვანქა კარტოფილი ღირს ამდენათ, ბალახი იყიდება ამდენათ და სხ. ასეთი ამბებით თუ განცხადებებით მთელი გვერდია სავსე, რაც გლეხს დიდათ აინტერესებს. როცა გლეხი გაზეთს მიიღებს, პირველათ „სამაზრო ნაწილს“ დაუწყებს კითხვას. ზოგ ცნობას ყარანდაშს გაუსვამს და ჩაიწერს, შემდეგ გადავა სხვა ნაწილზე. სამაზრო მთავრობას აქვს თავისი ოფიციალური გაზეთი (Amtsblatt), სადაც ათავსებენ განკარგულებებს, ახალ კანონების მუხლებს, აცნობებენ ძველის გაუქმებას და სხ. მკითხველისთვის საინტერესო რომ იყოს, საკითხავ მასალასაც იძლევიან. მაგ. ტელეგრამმები, ფელეტონები, პოლიტიკური წერილები, განცხადებები და სხ. გამოდის კვირაში ზოგი ერთხელ, ზოგი ორჯელ. გაზეთი საზოგადოთ ძლიერ იაფია, ასე რომ გლეხისათვის არა თუ პატარა სამაზრო, არამედ ქალაქების დიდრონი გაზეთებიც ხელმისაწვდენია. ყოველ დღიური გაზეთის ფასი, რაც უნდა იყოს, თვეში ერთ მარკას (ცხრაშაური) არ აცილდება. ეს სოფლელისთვის არაფერ დიდ ფულს შეადგენს. ყოველ გაზეთს სავაჭრო — სამაზრო განყოფილება აქვს. ამას მიუმატეთ სახალხო წიგნთ-საცავები, რაიცა მრავალია სოფლებში. აი, რას წერს ერთი ტიურინგელი მღვდელი გლეხების შესახებ: „დაბადების და სიმღერების კრებულთ გარდა ჩვენს გლეხებზე დიდი გავლენა აქვს გაზეთს. ის გაზეთს სულ სხვანაირათ კითხულობს, ვინემ ჩვენ. უპირველესი საინტერესო მისთვის განცხადებებია, საიდანაც ჩვეულებრივ იწყებს, სავაჭრო, სამსჯავრო, დანიშვნის, შერთვის და გადაცვლის ამბებს სიამოვნებით კითხულობს. შემდეგ მოდის მოსავალის, დანაშაულობების და დასჯის ამბები, რაც უფრო სასენსაციოა, მით უფრო ხალისით ეტანება. სულ ბოლოს გადახედავს პოლიტიკურ კორესპონდენციებს... მოწინავე წერილები ყურადღებას არ იპყრობს ან ვერ გებულობენ.. ერთი გლეხი გაკვირვებული იყო თავის თავის გადასხვაფერებაზე: „ამ ოცი წლის წინათ პოლიტიკასთვის თავს ვინ შეიწუხებდა, ახლა კი ყველა გაზეთს ღებულობს და კითხულობს!“.. სახალხო წიგნთსაცავებიდან გამოაქვთ გასართობი წიგნები, ხანდახან გონების განმავითარებელიც.. „(Zur bäurlichen glaubensund sittenslehre“ 95 წ. ქ. გოტა) არაფერზე ისე არ ზრუნავს გერმანელი როგორც სმა-ჭამაზე. რომ მკითხოთ, რა განსხვავებაა ფრანგსა და გერმანელს შორისო, ასე მოგიგებთ: ფრანგი მეცადინეობს რამენაირათ კარგათ გამოჩნდეს, გერმანელი კი — რამენაირათ კარგათ ჭამოს. ჩაცმა-დახურვა, სახლის მოწყობილება, წასვლა-წამოსვლა მისთვის მეორე ხარისხოვანი კითხვაა. ის, რაც უნდა შეძლების იყოს, შეხედულებით ღარიბი გეგონება. მაგიერში ერთ ჭიქა ლუდს ისე არ დალევს, რომ საჭმელი არ მიაყოლოს. გლეხ-კაცი დღეში ოთხჯერ ჭამს, სამუშაოზე ისე არ წავა, საჭმელთან ერთათ ორი-სამი ბოთლი ლუდი თუ არ მიაქვს. მაგიერში დილიდან საღამომდე მუშაობს, მოსვენება არ იცის. ამიტომ გერმანელი (მამა-კაცი) სხვილი, ზორბა, წითელ ლოყებიანია: ეტყობა მთელათ არისო.

მიუხედავათ ამისა, სოფლის ცხოვრება ერთფერი, მონოტონურია. ყველა თავისთვის შრომობს, თავისთვის ცხოვრებს, მეზობლური, სამოყვრო-სანათესაო მისვლა-მოსვლა არ არის, მიპატიჟ-მოპატიჟება, მიხმარებ-მოხმარება, ლხინი და კამპანიები, დღესასწაულები და თავყრილობა, თამაში ბურთით, ჯირითით, ცეკვა-სიმღერით არ არსებობს. ყველაფერი ფულის სასწორზე არის გატანილი; მშრალი, გულ-ცივი ანგარიში, აი, რა შეგხვდება ყოველ ფეხის ნაბიჯზე! მთელი ცხოვრება ჩოთქზეა აშენებული! აკვირდებით აქაურობას და იგონებთ ჩვენს ქართველ სოფელს, იმ სოფელს, სადაც სხვის ეზოში შეგიძლია ერთი მტევანი ყურძენი მოგლიჯო, ერთი ვაშლი ჩამოაგდო, სადაც გლეხ-კაცი კალთაში გაურინდება, შენი ჭირიმე ჩემსას ერთი ჭიქა ღვინო დალიეო, და აქაურობას ზურგს უბრუნებ, იმიტომ რომ იქაურობისკენ შებრუნდე! მაგრამ უცებ თავში გაგიელვებს, ვაი თუ ერთ დროს ჩვენი სოფელიც ასე გადასხვაფერდეს? და მწარე ფიქრები ისევ გაგიტაცებს შორს, ძლიერ შორს, სადღაც, მომავალისაკენ, როცა ქვეყანაზე არც ელინი და არც ბარბაროსი, არც ქალაქელი და არც სოფელი არ იქნება, — არამედ ადამიანი და ადამიანური ცხოვრება!..

მეორე წერილში მოეილაპარაკებთ შკოლების შესახებ.

საზღვარ გარეთელი.

## ბიბლიოგრაფია. *)

**ქართული ანბანი 18 სურათით ოჯახში, სკოლაში და ხალხში სახმარებელი, შედ. ი. როსტომაშვილის მიერ.**

ამას წინათ ბ. Ignotus-მა გაზეთ „ივერიაში" გამოთქვა ის აზრი, რომ კრიტიკული განხილვა ჩვენი მოღვაწეთა ნაწარმოებისა (ამ შემთხვევაში „დედა ენისა") დღეს დანაშაულათაც კი უნდა ჩაითვალოს. ამისთანა შეხედულება მეტისმეტათ უსაფუძვლო და მავნეა. ყოველი გაჭირვებული მდგომარეობა მოითხოვს ბრძოლას, მსხვერპლს. ადამიანმა რომ მტკიცეთ, გულწრფელათ დაიცვას თავისი უფლება, აუცილებლათ საჭიროა გამოარკვიოს, ნათლათ დაინახოს თავისი მოქმედების ღირსება, აგრეთვე თავის თანამემამულეთა ურთიერთი დამოკიდებულება, მათი ნაკლულოვანება და ღირსება. მხოლოთ ჭეშმარიტ, გულწრფელ კრიტიკულ განხილვას ჩვენი საზოგადოებრივი დამოკიდებულებისას შეუძლია გამოიწვიოს სურვილი მისი გაუმჯობესობისა. თუ საზოგადო სჯა არ არის, მაშინ, რასაკვირველია, ადამიანი საკმაოთ ვერ დააფასებს ვერც თვის და ვერც თანამემამულეთა მოღვაწეობას. უამისოთ, რასაკვირველია, ყოველთვის შეეძლებათ ზოგიერთებს ისე ადვილათ მოუგრიხონ კისერი ჩვენს მოქალაქებრივ თვით-შეგნებას, როგორც იქცევა ერთი კრიტიკოსი „კვალის" მე-48 ნომერში, და შეადარონ უმეტესი ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა 12 წლის ბავშებს, რომელნიც უსაფუძვლოთ, ყვინჩილასავით მიეარდებიან ერთმანეთს. სამწუხარო მოვლენაა ამგვარი შედარება მით უმეტეს, რომ ბ. კრიტიკოსს, რომელსაც ვერ წარმოუდგენია, რომ ერთი „ღერენალი" პედაგოგი ვერ ააბრუნ-დააბრუნებს ქვეყანას, როგორც მას სურს, რომ საზოგადოებას თვითონაც გაეგება ცოტა თავის ინტერესებისა და თუ „გამოჩენილი" პედაგოგის ელნიცკის სახელმძღვანელონი, რომელთა მსგავსნი „სოკოსავით მრავლდებიან", არ გაუზეპირებიათ, მაინც ცოტაოდენი გონება შეწევს, რომ ცაარჩიოს, რა არის თეთრი და რა არის შავი. ბ. კრიტიკოსი ბრძანებს, თითქო ძაგებას შეჩვეულნი არიან მხოლოთ ისინი, „რომელთაც ხელში არც კი აუღიათ ეს წიგნი, არ აუწონ-დაუწონიათ, კრიტიკის საცერში არ გაუტარებიათ". აშკარაა, ბ. კრიტიკოს სურს თქვას, თუ ხელს ახლებ ამ წიგნაკს, მაშინვე გული კმაყოფილებით აგევსებათ, რადგანაც ამ წიგნს ჩვენს სამოსწავლო ლიტერატურაში შეაქვს ახალი სხივი და აღემატება სხვა ამგვარ წიგნებსაო. მაგრამ ეს სულ ლიტონი სიტყვებია. მართლაც კრიტიკოსის სტატიაში მოყვანილია ამოს-კომენსკის სიტყვები, „გამოჩენილი" (?) პედაგოგი ელნიცკიც კი წამოსკუპებულა, დიდაქტიკის კანონებიც ჩამწკრივებულან, მაგრამ არც ერთი მაგალითი არ მოიპოვება წიგნაკის იმ ღირსებათა დასასაბუთებლათ, რომელნიც ასე მაღლა აყენებენ წიგნაკს სხვა მისგვარ სახელმძღვანელოებზე. არც შედარება შეიძლება ამ წიგნაკისა სხვა ათასობით გავრცელებულ სახელმძღვანელოებთან! კრიტიკოსმა მხოლოთ ჩამოთვალა საერთოთ, რა მოთხოვნილებას უნდა აკმაყოფილებდეს სახელმძღვანელო, გვეუბნება, რომ დამერწმუნეთ ბ. როსტომაშვილმა გადაქელა ჩვენი „ღერენალ" პედაგოგები და ლელო გაიტანაო. ვნახოთ!

1- კითხვა არის გადაქცევა ხილულისა სასმენათ (превр. видимаго въ слышимое) და, რადგანაც ამ საფუძვლით წერაკითხვის შესწავლაში მონაწილეობას ღებულობს ორი გარეგანი გრძნობა—მხედველობა და სმენელობა, ამიტომ საჭიროა ყოველთვის ეს ორივე გრძნობა ვარჯიშობდეს ერთათ, განუშორებლათ. თუ ბავშს შეუძლია ხილული გადააქციოს სასმენათ (წაიკითხოს), მაშინ იმავე წუთს უნდა შეეძლოს ნასმენის ხილულით გადაქცევა (დაწერა). კითხვა და წერა ბავშმა ერთსა და იმავე დროს უნდა შეისწავლოს. ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება ბ. როსტომაშვილის წიგნს არ შეუძლია. ის თავიდან დაწყებული ბოლომდე ერთათ აცნობს ბავშს ორ-ორ ასოს ერთ გაკვეთილში. რასაკვირველია, ბავშს არ შეუძლია ერთსა და იმავე დროს ხილული ნასმენათ და ნასმენი ხილულათ გადააქციოს: ორ-ორ ასოს ერთათ ვერ დაწერს და, სანამ ერთი ასოს წერას ისწავლის, მეორეს კითხვაც კი დაავიწყდება. მაინც წიგნაკში არც კი ჩანს, რომ ბ. რ—შვილს სურდეს კითხვის და წერის ერთსა და იმავე დროს შესწავლება. მის წიგნაკში, რომელიც „ხალხში და ოჯახში სახმარებელია", ასოს საწერათ ნიმუშები მხოლოთ ერთგან არის, ისიც წიგნის ბოლოში, თუნდ, ვთქვათ, ბ. რ—შვილს არ სურს წერა-კითხვა ერთათ ასწავლოს. ჯერ მარტო კითხვას ასწავლის. ალბათ, ყოველ ადამიანს შეუძლია ამოს—კომენსკის უბრძანებლოთაც მიხვდეს, რომ ერთ გაკვეთილზე ერთი უცნობი ასოს შეგნება უფრო ადვილია, ვინემ ორის, და რომ მიზნის მოღწევას ყოველთვის აადვილებს ტვირთის სიმსუბუქე. ბ. რ—შვილმა თითო გაკვეთილზე ორ ორი ასოს გაცნობით არამც თუ შეამსუბუქა ბავშის ტვირთი, შეამოკლა ანბანის სწავლისთვის საჭირო დრო, არამედ საქმე უფრო შეაფერხა, ბავშის გონებაც დატვირთა და დროც მეტი მოანდომა, რადგანაც ერთათ შეჭმული ორი კერძის მონელებას უფრო დრო უნდა, ვინემ ცალ-ცალკე.

2) ელემენტები ჩვენი ენისა განირჩევიან ერთმანეთისგან თავისი გამოთქმით; ერთი ხმა ადვილი გამოსათქმელია, მეორე—ძნელი, ერთი ხმა შეიძლება გავაგრძელოთ, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სიტყვების ანალიზის დროს, მეორეს გაგრძელება გასაჭირია. ეს თვისება ენის ელემენტებისა უნდა მიიღოს მხედველობაში სახელმძღვანელოს შემდგენელმა და ბგერა ჩაამწკრივოს სახელმძღვანელოში იმის და მიხედვით, თუ რამდენათ ეხერხება ადამიანს იმა-

*) ისეთ საყურადღებო საგნათ მიგვაჩნია ამ გვარი ბიბლიოგრაფია, რომ არათუ მეორე, კვლავაც დავუთმობთ ადგილს ამ წიგნის გარჩევას. რედ

თი წარმოთქმა: ადვილი წარმოსათქმელი-პირველათ, ძნელი—შემდეგ. ბ. როსტომაშვილს ეს პრინციპი სრულიად არ აქვს დაცული. მეორე გაკვეთილში აცნობს ხმას ,,ხ‘‘ მაშინ, როდესაც ადვილათ გამოსათქმელი ხმა ,,ს‘‘ მოთავსებულია მე—5 გაკვეთილში და ისიც ბგერას ,,თ‘‘ შემდეგ. ამ გვარი უხერხული დალაგება ბგერათა ძლიერ შეაფერხებს მასწავლებელს სიტყვების ანალიზის დროს.

3) წერა-კითხვის შესწავლა არის იგივე სილოგიზმების კერძო გამოყენება. ავხსნათ. როდესაც ჩვენ ბავშს უკვე გავაცანით ორი-სამი ასო, ჩვენ უნდა ვისარგებლოთ ამით, რომ სხვა ასოების გაცნობა გავუადვილოთ, ასე რომ აქ ჩვენ ხელში იქნება ორი ცნობილი, ჩვენ მათი შემწეობით უნდა გამოვიცნათ მესამე. ცნობილნი არიან: 1) სურათი, რომელიც ეუბნება ბავშს, რომ სურათს ქვეშ მოწერილი ასოები საგნის სახელს გამოხატვენ. და 2) ის ასოები, რომელნიც უკვე იციან ბავშებმა. მე—3 უცნობი არის ახალი ასო. როდის უფრო ადვილათ შეეძლება ბავშს გამოაშოროს ეს უცნობი ასო: როდესაც იმ ასოთი იწყება სიტყვა, როდესაც ის მოთავსებულია შუაში, ან როდესაც იმით ბოლოვდება სიტყვა? ცხადია, რომ ბავშისთვის უფრო ადვილი იქნება გამოსაცნობათ, როდესაც ასო მოთავსებულია სიტყვას ან მაინც მარცვლის ბოლოში. არც ეს უსაჭიროესი მოთხოვნილება აქვს დაცული ბ. როსტომაშვილს. ბევრი სიტყვები უცნობი ასოთი იწყებიან, როგორც, მაგ., მამა, თოხი, სოკო, დანარჩენი უცნობი ასოები სიტყვის შუაში არიან მოთავსებულნი. ერთ ადგილას ორი უცნობი თანხმოვანი ასო ერთად არის მოქცეული სიტყვაში. სახელდობრ სიტყვაში თევზი—ვ. და ზ.

4) „ხმოვანური“ მეთოდი მოითხოვს, რომ სიტყვები, რომელთა შემწეობით უნდა გავაცნოთ ბავშს ასოები, უნდა იყვენ ნორმალური: ისინი უნდა იყვენ შეძლების დაგვარათ მარტივნი, ცოტა მარცვლოვანი, ბავშებისთვის უკვე ცნობილნი, მათ გონებაში დამკვიდრებული. ბ. როსტომაშვილს მონდომებია რაღაცასთვის თავის ანბანში სიტყვის ,,მაგიდის‘‘ შეტანა. ამისთანა ნეოლოგიზმებს ადგილი სრულიად არ უნდა ჰქონდეს ანბანში, რადგანაც მათი მნიშვნელობა მეტად მცირე და საერთოთ გადაჩვევა რომელიმე უკვე შემოღებული სიტყვის ხმარებისა გასაჭირია, მით უმეტესათ რომ ბ. როსტომაშვილის წაგნაკი ოჯახში და ხალხში სახმარებლათ არის დანიშნული. გარდა ამისა ბ. რ—შვილი შიგა და შიგ თითქო განგებ აფერხებს სწავლის საქმეს. იმას შეაქვს თავის წიგნაკში განყენებითი სიტყვები, რომელთა ხმარება შესაძლებელია მხოლოთ კარგა ხნის სისტემატიურ განათლებას შემდეგ. აშკარაა, რომ იმას წაუბაძავს არსებული სხოლასტიური მიმართულებისთვის და მოუსურვებია, რომ ბავშებმა, რომელთაც ჯერ ეჭირვებათ პირდაპირი დაკვირვება, გრძნობათა განვითარება, იცოდენ კლასიფიკაცია. ის ხმარობს სიტყვებს: მცენარე, ცხოველი, იარაღი, ფრინველი. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ბ. როსტომაშვილს სურს სწრაფათ ასწავლოს ანბანი, რაც გამოდის ასოების ტყუპ-ტყუპ გაცნობისაგან, კიდევ უფრო უხერხულათ გვეჩვენება მისი ამგვარი საქციელი. 5) რომ ბავშმა ჯეროვნათ შეითვისოს რომელიმე მოვლენა, საგნის თვისება, აუცილებლათ საჭიროა, რომ თავდაპირველათვე ეს მოვლენა, გინდა თვისება მას წარმოუდგებოდეს ისე, როგორც მართლა არსებობს. უსათუოთ უნდა იყოს დაცული მის ნაწილებს შორის არსებული გარმონია. თავიდანვე ყოველ გვარი გადამახინჯება გამოიწვევს მხოლოთ ცრუ შთაბეჭდილებას, რომელიც შემდეგ უნდა გამოვრეკოთ თავიდან. ბ. რ—შვილს მეტის-მეტი ერთგულობისგამო უცნობი ასოები დიდეს სისხოებათ დაუშავებია ქაღალდზე დ ცნობილნი კი პატარაებათ გამოუხატავს. ან სულ დიდ ასოებათ უნდა დაებეჭდა პირველი სიტყვები მაინც, ან სულ თავი დაენებებია. არევ დარევა გარდა იმისა, რომ არღვევს სიტყვების ელემენტებს (ასოებს) შორის გარმონიას, ღირსებას, გვაძლევს სხვა-და-სხვა გვარ ხილულ შთაბეჭდილებას; მაშასადამე, ბავშის წარმოდგენაში ერთი და იგივე სიტყვის გამოხატულება გაორდება.

6) ახირებული წარმოდგენა აქვს შედგენილი- ბ. როსტომაშვილს განმეორებაზე. იმას ჰგონია, რომ განმეორება შედგება სიტყვების ერთი გვერდიდან მეორე გვერდზე გადასკუპებაში, ავიღოთ პირველი თაბახი. მეორე გვერდზე არის დახატული ხე და ქვემოდან მოწერილია სიტყვა ,,ხე‘‘. ამ სიტყვით ის ბავშს აცნობს ორ ასოს: ,,ხ‘‘ და ,,ე‘‘. ამას შემდეგ იმის მაგიერ, რომ ამ წუთში შეძენილი ხმები კიდევ სხვა კომბინაციით, თუნდა, მაგალ. ,,ეხ‘‘, განემეორებია, ის წამოასკუპებს პირველ გვერდზე დაწერილ ,,ია‘‘. პირველათ, საჭირო იყო, რომ ჯერ ახალი ბავშს შეეთვისებია და შემდეგ ძველი განეახლებია თავის წარმოდგენაში. სიტყვების განმეორება უნდა ხდებოდეს სულ სხვა გვარათ. გონივრული მოთხოვნილება გამოიხატება იმაში, რომ სახელმძღვანელოს შემდგენელმა ეცადოს გაცნობილი ასოებიდან შეადგინოს შესაძლებელი კომბინაციები—სიტყვები, სიტყვებისაგან წინადადებანი. ბ. გოგებაშვილის ,,დედა ენაში‘‘ პირველ გაკვეთილზევე შესდგება წინადადება; ,,აი ია‘‘. ბ. როსტომაშვილს ალბათ დაავიწყდა, რომ ბავში ფიქრობს სურათებით, წინადადებებით, მაშ მას უფრო ეადვილება სიტყვების წინადადებებში შესწავლა. გარდა ამისა ბ. რ—შვილს პირველ გაკვეთილშივე შემოაქვს დასასვენებელი ნიშნები და ნამგალივით უკაუჭებს მსუქან-მსუქან მძიმეებს ყველა ასოს შემდეგ გაკვეთილის ბოლოში. არც ეს იყო ჯერ საჭირო. იქნება მკითხველს ეს ჩემი შენიშვნა ეჩვენოს მეტის-მეტ წვრილმანათ, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ერთი წერტილიც კი მიიპყრობს ბავშის ცოდნის შეძენის წყურვილით აღჭურვილ გონებას.

ამ გვარათ პრინციპიალურათ განხილვა ბ. რ—შვილის წიგნისა ჩვენ უნებლიეთ დაგვაფიქრებს და გვაიძულებს დავეკითხოთ ჩვენ თავს: რით აჯობა ბ. რ—შვილმა სხვებს? რა ახალი შემოიტანა მან ჩვენ ლიტერატურაში? წინ წასწია სწავლის საქმე, თუ უკან. დეე, მკითხველმა თვითონ გასაჯოს ეს!!.

ვ—რჯ ს—ძე.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლის.

# ქუთაისის თავად-აზნაურთ სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ ბანკის წესდების მე-18 § ძალით, აღნიშნულ ვადებში ბანკის გამგეობის სადგურში საზოგადო ვაჭრობით გასყიდულ იქნებიან ხსენებულს ბანკში დაგირავებულნი უძრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა პირთა, შესახვედრ გადასახადთა შემოუტანლობისა გამო.

გასყიდვა მოისპობა მხოლოდ იმ მამულებისა, რომელთა მეპატრონენი, თანხმად ბანკის წესდების მე-19 §-ისა, შეავსებენ ბანკის გადასახადს და თან განცხადებათა ხარჯებს.

ვაჭრობა დაიწყება ქვემო მოყვანილის თავნი ფულიდამ ზედ დამატებით სხვა-და-სხვა შეუვსებელის გარდასახადისა, მამულის გასასყიდლად დანიშვნაზე ხარჯებისა და, საზოგადოდ, ყველა ამ ფულისა, რომელიც ბანკს თვისის მოვალის სამაგიეროდ დაუხარჯავს; ბანკის ხანგრძლივი ვალის თავნის მოსპობა შეიძლება ამავე ბანკის გირაოს ფურცლებით, რომელნიც მიიღებიან სახელდობრივის ფასისამებრ მანეთი მანეთად და აგრეთვე შეიძლება გადატანილ იქმნენ მეიდველზე; ხოლო ვადაზე გადასახადი და სხვა გვარი ბანკის სახვედრო ფული უნდა შემოტანილ იქმნენ ნაღდათ.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებასურთ, მათ შეუძლიათ გასასყიდელთ მამულთა აღწერილობის და საბუთების განხილვა ბანკის სამმართველოში.

თუ ეს ვაჭრობა არ შესდგა, მაშინ, ბანკის წესდების 24 § საფუძველით, ინიშნება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა, 20 მარტს 1896 წელსა.

## ვაჭრობა 28 თებერვალს 1896 წელსა.

$18\frac{7}{12}$ და $19\frac{11}{12}$ წლიანნი სესხნი.

ქ. ქუთაისს.

დარახველიძისა მიხაილ ერასტის ძის: ორპირის ქუჩაზე ორი ქვითკირის სახლები: ერთი ერთ-სართულიანი და მეორე ორ-სართულიანი და მიწა 312 კვადრ. საქ. თავნი ვალი 482 მ. 59 კ. შეს. გად. 291 მ. 54 კ. სულ 774 მ. 13 კ.

დიასამიძეთა: ნესტორ და სამსონ მიხაილის ძეთა: სათავადო ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 20 კვადრ. საქ. თავნი ვალი 22 მ. 12 კ: შეს. გად. 291 მ. 54 კ., სულ 313 მ. 66 კ.

აღიშევგოვთა: იოსებ, ალექსანდრე და ივანე ხვთისოვარის ძეთა: ლევაშოვის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 1270 კვად. საქ. თავნი ვალი 111 მ. 60 კ. შეს. გად. 129 მ. 82 კ., სულ 241 მ. 42 კ.

კობახიძისა ალექსი სიმონის ძის: ბალახვანის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 455 კვადრ. საქ. თავნი ვალი 46 მ. 66 კ. შეს. გად. 42 მ. 62 კ., სულ 89 მ. 28 კ.

ჩოგოვაძისა ვასილ ოქროპირის ძის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 479 კვადრ. საქ. თავნი ვალი 55 მ. 65 კ. შეს. გად. 38 მ. 40 კ., სულ 94 მ. 5 კ.

Доз. ценз. Тифлисъ, 26 Января 1896 г. — Тип. М. Д. Ротиніанца სტამბა, მ. დ. როტინიანცისა Гол. пр., № 41